სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
31.03.2014 № 64
თბილისი

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე
2013/2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრის
სასწავლო განრიგის შესახებ

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N121/ნ ბრძანებისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის საფუძველზე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2013/2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრში სასწავლო პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტებისათვის 2013/2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრი დაიწყოს 2014 წლის 7 აპრილს (იხ. დანართი 1);
2. სააუდიტორიო მეცადინეობები თეორიის კომპონენტში – ლექციები და სამუშაო ჯგუფში მუშაობა (პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები) ჩატარდეს 2014 წლის 7 აპრილიდან 2014 წლის 2 აგვისტოს ჩათვლით (იხ. დანართი 1);
3. პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდეს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შესაბამისად;
4. პირველი შუალედური გამოცდა (ტესტირება) ჩატარდეს მე-7 სასწავლო კვირაში, 2014 წლის 19 მაისიდან 24 მაისის ჩათვლით, მე-2 შუალედური გამოცდა (ტესტირება) – მე-14 სასწავლო კვირაში, 2014 წლის 7 ივნისიდან 12 ივნისის ჩათვლით, ხოლო მე-3 შუალედური გამოცდა (ტესტირება) – 2014 წლის 4 აგვისტოდან 6 აგვისტოს ჩათვლით (იხ. დანართი 1);
5. შუალედური გამოცდების (ტესტირებების) დღეებში სააუდიტორიო მეცადინეობები არ დაიგეგმოს (იხ. დანართები 1 და 2);
6. დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2014 წლის 7 აგვისტოდან 12 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები – 13 აგვისტოდან 23 აგვისტოს ჩათვლით (იხ. დანართი 1);
7. სასწავლო კურსის წამყვანი მასწავლებელი/პროფესორი ვალდებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ სტუდენტთა შეფასების ელექტრონულ უწყისში (იხ. დანართი 3) შეიტანოს პროფესიულ სტუდენტთა შუალედური გამოცდის (ტესტირების), დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის (იხ. დანართი 2) შედეგები გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღის განმავლობაში (17 საათამდე);
8. სემესტრის ბოლოს, არაუგვიანეს დამატებითი გამოცდების ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღისა, სასწავლო კურსის წამყვანი მასწავლებელი/პროფესორი ელექტრონული

უწყისის ამონაბეჭდზე (2 ეგზ.) ხელმოწერით დაადასტურებს მონაცემებს. დეპარტამენტის სპეციალისტი მოახდენს უწყისის რეგისტრაციას; უწყისის ერთ ეგზემპლარს ჩააკერებს შესაბამის საქაღალდეში, ხოლო მეორე ეგზემპლარს გადასცემს დეკანატს არსებული წესის მიხედვით;

9. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი. ლომიძე);
10. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე
სასწავლო დარგში *ლ. კლიმიაშვილი*

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი *ზ. მაისურაძე*

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების
2013/2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სასწავლო გრაფიკი

ამოცანა	კვირა	თვითო
ამოცანები	I	7-12 ივლისი
	II	14-19 ივლისი
	III	21-26 ივლისი
	IV	28 ივლისი - 3 მაისი
	V	5-10 მაისი
	VI	12-17 მაისი
	VII	19-24 მაისი
	VIII	26-31 მაისი
	IX	2-7 ივნისი
	X	9-14 ივნისი
	XI	16-21 ივნისი
	XII	23-28 ივნისი
	XIII	30 ივნისი - 5 ივლისი
	XIV	7-12 ივლისი
	XV	14-19 ივლისი
	XVI	21-26 ივლისი
	XVII	28 ივლისი - 2 აგვისტო
	XVIII	4-6 აგვისტო
		7-9 აგვისტო
	XIX	11-12 აგვისტო
		13-16 აგვისტო
	XX	18-23 აგვისტო
I შუალედური გამოცდა (ტესტირება)		საუდიტორიო მეცადინეობები
II შუალედური გამოცდა (ტესტირება)		საუდიტორიო მეცადინეობები
III შუალედური გამოცდა (ტესტირება)		საუდიტორიო მეცადინეობები
სესია (დასკვნითი გამოცდები)		
დამატებითი გამოცდები, ანმაღლებები		

სტუდენტთა მიღწევების შეფასება

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ყველა საფეხურის პროფესიული სტუდენტებისათვის (შემდგომში სტუდენტი) შუალედური შეფასება მოიცავს 3 შუალედურ გამოცდას (ტესტირებას):
2. შუალედური გამოცდების (ტესტირებების) შეფასებებია:
   - I შუალედური გამოცდა (ტესტირება) – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;
   - II შუალედური გამოცდა (ტესტირება) – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;
   - III შუალედური გამოცდა (ტესტირება) – მაქსიმალური შეფასება 30 ქულა;
3. დასკვნითი და დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასება არის 30 ქულა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასებების ჯამში დააგროვა 21 და მეტი ქულა, ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა სილაბუსით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი (ლაბორატორიული/პრაქტიკული);
4. დასახელებული მინიმუმის შესრულების და შესაბამისი დოკუმენტური მასალის ჩაბარების აღსანიშნავად სააუდიტორიო მეცადინეობების ბოლო კვირის შეფასებების ფანჯარასთან ერთად გაიხსნება შესაბამისი ფანჯარა (შემდგომში – დოკუმენტური მასალის ფანჯარა) სათანადო მონიშვნის გაკეთების მიზნით. დოკუმენტური მასალის ფანჯარა იხსნება სილაბუსით განსაზღვრული თითოეული სამუშაოსათვის;
   დოკუმენტური მასალის ფანჯარა/ფანჯრები დაიხურება დასკვნითი გამოცდის ფანჯრის დახურვასთან ერთად;
5. საბოლოო დადებითი შეფასების გაფორმების მიზნით სტუდენტი ვალდებულია გავიდეს დასკვნით გამოცდაზე. დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი შეფასებაა მაქსიმალური შეფასების მეოთხედი;
6. შუალედური შეფასებებისა და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასების ჯამში 41-50 ქულის დაგროვებისას (FX შეფასება – ვერ ჩააბარა), აგრეთვე აღნიშნული შეფასებების ჯამში 51 და მეტი ქულის დაგროვებისას, მაგრამ დასკვნით გამოცდაზე არასაკმარისი შეფასების მიღებისას, სტუდენტს აქვს იმავე სასესიო პერიოდში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
7. დასკვნით ან/და დამატებით გამოცდებზე დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას სტუდენტს, სწავლების დეპარტამენტის წარდგინებით და რექტორის თანხმობით, მიეცემა გამოცდებზე გასვლის უფლება მომდევნო სემესტრის დაწყებამდე;
8. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდებს შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა; დასკვნითი და დამატებითი გამოცდების შედეგები არ ჯამდება;
9. სტუდენტის საბოლოო შეფასება მიიღება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდის შეფასების დაჯამებით. შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამში 41-ზე ნაკლები ქულის დაგროვებისას (F შეფასება – ჩაიჭრა), შუალედური შეფასებებისა და დამატებითი გამოცდის შედეგად 51-ზე ნაკლები ქულის დაგროვებისას (შეფასებები FX ან F), აგრეთვე დასკვნით/დამატებით გამოცდაზე არასაკმარისი შეფასების მიღებისას (ქულების ჯამური რაოდენობის მიუხედავად), სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი;

10. სასწავლო პრაქტიკა, რომლის ჩატარების ვადები სააუდიტორიო მეცადინეობების ჩატარების ვადებს ემთხვევა, ისევე შეფასდება, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო კურსი ან მისი კომპონენტი (სილაბუსით განსაზღვრული ფორმატის შესაბამისად);
11. საწარმოო პრაქტიკა, რომლის ჩატარების ვადები სააუდიტორიო მეცადინეობების ჩატარების ვადებს არ ემთხვევა, შეფასდება სილაბუსში აღწერილი წესით;
12. სასწავლო კურსის წამყვანი მასწავლებელი/პროფესორი ვალდებულია ელექტრონულ უწყისში შეიტანოს სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება.

დანართი 3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

. . . . . ფაკულტეტი

№ . . . . . . პროფესიული ჯგუფის სტუდენტთა შეფასების უწყისი № . . . .

სწავლების წელი ☐ სემესტრი ☐ აკადემიური წელი –

საგანმანათლებლო პროგრამა:

სასწავლო კურსის დასახელება:

წამყვანი მასწავლებელი/პროფესორი

ECTS კრედიტი	სწავლების ფორმა და კვირეული დატვირთვა, სთ :	ლექცია ☐	პრაქტიკული ☐	☐ სასწავლო პრაქტიკა	ლაბორატორიული ☐	☐ საწარმოო პრაქტიკა	☐

№	გვარი, სახელი	კვირები (თარიღები)						საბოლოო შეფასება, ქულა
		VII	XIV	XVIII	სულ, ქულა	XVIII-XIX	XIX-XX	
		შუალედური შეფასებები, ქულა						
		I შუალედური გამოცდა (ტესტირება)	II შუალედური გამოცდა (ტესტირება)	III შუალედური გამოცდა (ტესტირება)		დასკვნითი გამოცდა, ქულა	დამატებითი გამოცდა, ქულა	
	მაქსიმალური ქულა	20	20	30	70	30	30	100
1								
2								
3								
4								
5								
6								
7								
8								
9								
10								
11								
12								

სასწავლო კურსის წამყვანი მასწავლებელი/პროფესორი	..... *ინიც. და გვარი*	..... *ხელმოწერა*	..... *თარიღი*		ფაკულტეტის დეკანი
აკადემიური დეპარტამენტის უფროსი	..... *ინიც. და გვარი*	..... *ხელმოწერა*	..... *რეგ№*	..... *თარიღი*	..... *ინიც. და გვარი* ..... *ხელმოწერა*